სახ.კოდი: 190020020.35.121.016384
გამოქვეყნების თარიღი: 27.12.2019

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N 29

2019 წლის 25 დეკემბერი

ქ. ვანი

„ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 23-ე მუხლის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03.01.2018 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.121.016267) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. დანართი N1 შეიცვალოს და „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები“ დამტკიცდეს თანდართული რედაქციით (დანართი N1).

2. დანართი N2 შეიცვალოს და „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა და შრომითი ანაზღაურება“ დამტკიცდეს თანდართული რედაქციით (დანართი N2).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი N1

ვანი ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის

პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

N	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი რანგი		თანამდებობრივი სარგოს ოდენობა (ლარი)
		საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირები		
1	საკრებულოს თავმჯდომარე	პოლიტიკური თანამდებობის პირი		3380
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	პოლიტიკური თანამდებობის პირი		2380
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	პოლიტიკური თანამდებობის პირი		1650
4	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	პოლიტიკური თანამდებობის პირი		1650
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	პოლიტიკური თანამდებობის პირი		1000
		საკრებულოს აპარატი		
6	დადგენილებების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი	I		1650
7	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	II		1200
8	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - განყოფილების უფროსის მოადგილე	III		900
9	II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III		750

დანართი N2

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით

დასაქმებულ პირთა რაოდენობა და შრომითი ანაზღაურება

N	პოზიციის დასახელება	რაოდენობა	შრომითი ანაზღაურების ოდენობა (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	1	650
2	მძღოლი	1	1000
3	სპეციალისტი (მდივანი)	1	650
4	აიტი სპეციალისტი	1	750
5	საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში	1	650
6	საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილების სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1	650